



2081/3-62/22 2 09032022

2081/3-62/22

09-03-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს


გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს სახმელეთო საზღვრის კვეთის რაოდენობრივი მონაცემები, კერძოდ რუსეთის ფედერაციის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე, თვეების მიხედვით;
2. რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს სახმელეთო საზღვრის კვეთის რაოდენობრივი მონაცემები, კერძოდ რუსეთის ფედერაციის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე, თვეების მიხედვით;
3. ასევე რუსეთის ფედერაციის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი 2022 წლის 24 თებერვლიდან 2022 წლის 4 მარტის ჩათვლით, თვეების მიხედვით?

გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 2 22 00994885



14/04/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ პაატა მანჯგალაძეს

ბატონო პაატა,

2022 წლის №2081/3-62/22 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დანართის სახით წარმოგიდგენთ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა (პირების უნიკალური რაოდენობა) მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის (შემოსვლა) სტატისტიკურ მონაცემებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის (შემოსვლა) შესახებ 2022 წლის ინფორმაციის დამუშავება განხორციელდა ერთჯერადად.

შენიშვნა: საშუალო სტატისტიკური ცდომილების ზღვარი +/- 2,4%.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

შ.ს.ს.



მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარაჩველიძე

ქ. დარაჩველიძე

სახმელეთო სასაზღვრო გამტარი პუნქტების მიხედვით			
წელი	თვე	მოქალაქეობა	უნიკალური პირები შემოსვლა
2018	იან	რუსეთის ფედერაცია	38 112
2018	თებ	რუსეთის ფედერაცია	35 586
2018	მარ	რუსეთის ფედერაცია	44 152
2018	აპრ	რუსეთის ფედერაცია	65 599
2018	მაი	რუსეთის ფედერაცია	57 473
2018	ივნ	რუსეთის ფედერაცია	94 997
2018	ივლ	რუსეთის ფედერაცია	152 448
2018	აგვ	რუსეთის ფედერაცია	167 985
2018	სექ	რუსეთის ფედერაცია	107 394
2018	ოქტ	რუსეთის ფედერაცია	76 493
2018	ნოე	რუსეთის ფედერაცია	47 911
2018	დეკ	რუსეთის ფედერაცია	45 603
2019	იან	რუსეთის ფედერაცია	38 351
2019	თებ	რუსეთის ფედერაცია	35 107
2019	მარ	რუსეთის ფედერაცია	49 805
2019	აპრ	რუსეთის ფედერაცია	73 512
2019	მაი	რუსეთის ფედერაცია	92 641
2019	ივნ	რუსეთის ფედერაცია	111 051
2019	ივლ	რუსეთის ფედერაცია	152 150
2019	აგვ	რუსეთის ფედერაცია	185 873
2019	სექ	რუსეთის ფედერაცია	115 772
2019	ოქტ	რუსეთის ფედერაცია	93 627
2019	ნოე	რუსეთის ფედერაცია	62 963
2019	დეკ	რუსეთის ფედერაცია	67 781
2021	იან	რუსეთის ფედერაცია	1 686
2021	თებ	რუსეთის ფედერაცია	2 188
2021	მარ	რუსეთის ფედერაცია	2 532
2021	აპრ	რუსეთის ფედერაცია	3 550
2021	მაი	რუსეთის ფედერაცია	3 784
2021	ივნ	რუსეთის ფედერაცია	17 209
2021	ივლ	რუსეთის ფედერაცია	24 371
2021	აგვ	რუსეთის ფედერაცია	24 258
2021	სექ	რუსეთის ფედერაცია	17 735
2021	ოქტ	რუსეთის ფედერაცია	17 155
2021	ნოე	რუსეთის ფედერაცია	13 052
2021	დეკ	რუსეთის ფედერაცია	15 874